



შირაკი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№5 (10.013)

26 თებერვალი - 5 მარტი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ევროკავშირის ელჩი დედოფლისწყაროში

„საქართველო პიხვენი ქვეყანა იქნება ხეივანოვანი, სადაც ეხთხოვანაჲ ოხი ბიოსფერული ხეივანოვანი ღაეხსაღაჲ“

კახეთში ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ შარცელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ეწვია. პროგრამა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიასთან ერთად, დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის შესახებ განცხადებასაც მოიცავდა. ასევე, ელჩი შარცელი დედოფლისწყაროს განვითარების ჯგუფის (LAG) წარმომადგენლებს შეხვდა და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ რამდენიმე ადგილობრივ საწარმოს ესტუმრა.

„ბიოსფერული რეზერვატის არსებობა ევროკავშირის განვითარების პარტნიორის პირობა“

ელჩმა შარცელმა და მინისტრმა შამუგიამ დღე დედოფლისწყაროს ბიოსფერულ რეზერვატში დაიწყეს, სადაც, რეზერვატის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) პროგრამაში „ადამიანი და ბიოსფერო“ წარდგენასთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთეს. კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან (REC Caucasus) ერთად, მუნიციპალიტეტმა, ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ინკლუზიური და მდგრადი ზრდის მოდელის, განვითარებაზე იმუშავა. ბიოსფერული რეზერვატის ნომინაცია, ისევე როგორც, პროექტის ფარგლებში, ბიზნესის განვითარება, ადგილობრივი თემის ცხოვრების პირობებისა და ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სუფთა და მრავალფეროვანი გარემო კი, ადგილობრივ წარმოებასთან ერთად, მუნიციპალიტეტს და მის მცხოვრებლებს განვითარებასა და წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

„მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველო პირველი ქვეყანა იქნება რეგიონში, სადაც ერთდროულად ორი ბიოსფერული რეზერვატი დაარსდება (სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი თუშეთში და დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში). ეს იქნება იუნესკოს მიერ აღიარებული ტერიტორიები.“

ევროპის არაერთი ქვეყნის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ბიოსფერული რეზერვატების სწორი მართვით, ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებულ სარგებელს იღებს. ეკოლოგიურად სუფთა გარემოში წარმოებულ აგროპროდუქტზე კი, მსოფლიოში სულ უფრო მზარდი მოთხოვნაა. რეზერვატების არსებობა ეკოტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაც არის“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ევროკავშირის, გერმანიის მთავრობას, მიხაილ ზუკოვის ფონდს და კავკასიის რეგიონულ ცენტრს (REC caucasus) მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა რომ, ბიოსფერული რეზერვატი საშუალებას მოგვცემს დავიცვათ და შევინარჩუნოთ საქართველოს უნიკალური, ბუნებრივი სიმდიდრე

და ამავე დროს, გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

„ვეფირობ, ეს არის ისტორიული დღე, რადგან UNESCO-ში წარდგენილია ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მინიჭების საკითხი. ეს არის სამინისტროსთან, მუნიციპალიტეტთან და კავკასიის რეგიონულ გარემოსდაცვით ცენტრთან ერთად რამდენიმეწლიანი შრომის შედეგი, რომელიც უახლოვდება იმ მომენტს, როდესაც შემდეგი ნაბიჯის გადადგმის დრო დგება. შეიძლება ითქვას, რომ ბიოსფერული რეზერვატი პირველია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაშიც. ვხედავთ, რომ ეს არის რეალური მისაბაძი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკური განვითარება - სასიცოცხლო საშუალება მოსახლეობისთვის, რომლებიც სარგებელს იღებენ გარემოდან გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე“, - განაცხადა პარლ შარცელმა.

ბიოსფერული რეზერვატი მოდელური რეგიონია, რომელიც ხელს უწყობს მდგრად რეგიონულ განვითარებას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ის ასრულებს მნიშვნელოვან როლს კლიმატის ცვლილებისადმი დაპატაციისა და შერბილების კუთხით. ბიოსფერული რეზერვატი არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბუნების კონსერვაციისა და მდგრადი მინათსარგებლობის ერთიანი პრაქტიკის დასაწერად.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მოდელის დაარსება კახეთის რეგიონში“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) მიერ განხორციელდა. პროექტის მიზანი ვაშლოვანის ბიოსფერული რეზერვატის, როგორც ადგილობრივ დონეზე ინკლუზიური და მდგრადი ზრდის სადემონსტრაციო მოდელის დაარსებით, კახეთის რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ლონისძიებს გარემოს დაცვისა და



სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ევროკავშირის კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლევან ლილუაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები დავით ფხოველიშვილი და მალხაზ მერაბიშვილი და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შენაერთა ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან

დედოფლისწყაროში ვიზიტისას, ელჩი

ადგილობრივი განვითარების ჯგუფს (LAG) შეხვდა. დედოფლისწყაროს LAG-ი აერთიანებს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე ადგილობრივ თემებს, რომლებსაც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა სურთ. LAG-ის საქმიანობა სოფლის განვითარების ევროპულ მოდელს,

/გაგრძელება გვ.3/

„მათი გმირების მავალითი ჩვენი თაობებისთვის სახელმძღვანელო“

„თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის იუნკერების თავგანწირვა ჩვენს მეხსიერებაში დარჩა, მათი გმირობის მაგალითი ჩვენი თაობებისთვის სახელმძღვანელოა“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა პარლამენტში, 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელასთან დაღუპულ იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა, პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად პარლამენტის ეზოში გვირგვინით შეამკო იუნკერთა მემორიალი და პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

„ჩვენ დღეს პატივს მივაცემთ დაღუპული გმირების, იუნკერთა ნათელ ხსოვნას. ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ტრაგიკული მოვლენა მოხდა ჩვენს ქვეყანაში და სწორედ ამ მოვლენამ შეცვალა ჩვენი ქვეყნის მამინდელი ისტორია. მოვლენამ, რომელმაც პრაქტიკულად, ჩვენი ქვეყანა რეალური განვითარების ტემპს, პროცესებს მონყვიტა და დიდი ხნის განმავლობაში დაგვაშორა საერთო ევროპულ ოჯახს. ამ დღეს სწორედ გმირმა ახალგაზრდებმა, იუნკერებმა დაგვიტოვეს მაგალითი, რომელიც მრავალი თაობისთვის დღესაც სახელმძღვანელოდ რჩება. მრავალი ათეული წლის განმავლობაში მათი თავდადება,

თავგანწირვა ჩვენი ქვეყნისთვის, თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის ჩვენს მეხსიერებაში დარჩა. დღეს, ერთი საუკუნის შემდეგ, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ. რა თქმა უნდა, იუნკერებმა თავი შესწირეს საკუთარი სამშობლოს დაცვას, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, მაგრამ, ვერ შეაჩერეს ის უზარმაზარი, ძღვევამოსილი ნითელი არმია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა. მათი ეს თავგანწირვა დარჩა ლეგენდად, მათი გმირობის მაგალითი ჩვენი თაობებისთვის სახელმძღვანელოდ დარჩა. დღეს ვართ დამოუკიდებელი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი საზრუნავი, მთავარი ოცნება არის ჩვენი ქვეყნის გამთლიანება, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის განმტკიცება და აღდგენა. ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება ერთობლივი ძალისხმევა, ჩვენი ერის გამთლიანება, რომლის გარეშეც, პრაქტიკულად, მიუღწეველია ეს დიდი, თითოეული ქართველის, ჩვენი თითოეული მოქალაქის, ყველას ოცნება. მე მჯერა, რომ ეს გზა თავისუფლებისკენ, ქვეყნის გაერთიანებისკენ გადის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, ჩვენი ქვეყნის სტაბილურობაზე, ჩვენი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე, სიმშვიდეზე და ჩვენი ერის გაერთიანებაზე. ამიტომაც, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ იმ იდეალებსკენ სწრაფვა, რომლებიც



იყო იუნკერების იდეალები და ეს იყო ერთიანი, ძლიერი, თავისუფალი საქართველო. კიდევ ერთხელ მივაცემთ პატივს იუნკერების ნათელ ხსოვნას და ვუსურვებ ჩვენს ხალხს გაერთიანებას, სიმტკიცეს და ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას“, - აღნიშნა ირაკლი ლარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად, პარლამენტის ეზოში, იუნკერების ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა დაათვალიე-

რა, ასევე დაესწრო იუნკერთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს, რომელიც პარლამენტის ეზოში მდებარე ხარების სახელობის სასაფლაოში დაეკანონა შალვა კეკელიამ გადაიხადა.

ირაკლი ლარიბაშვილმა, სალომე ზურაბიშვილმა და შალვა პაპუაშვილმა ასევე გვირგვინით შეამკეს 1921 წელს თბილისის დაცვისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ მორიგი საქველმოქმედო აქცია დედოფლისწყაროში გამართა



რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ცნობით, ჰუმანიტარული ტვირთი ამჯერად ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში მდებარე, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატს ჩაუტანეს, სადაც 185 ბავშვი სწავლობს. ინტერნატის მოსწავლეებმა 200 სასაჩუქრე ყუთი მიიღეს.

„სააგენტოს, ეპარქიის დროებითმა მმართველმა, მეუფე თეოდორემ (ჭუაძე) და სკოლის აღმასრულებელმა დირექტორმა, მორჩილმა თეა სხირტლაძემ მხარდაჭერისა და განუელი დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობდნენ: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, სააგენტოს სტრატეგიული კვლევის, ანალიზისა და რეგონების სამსახურის სპეციალისტი ნინო ასათიანი, ფინანსური მენეჯერი ლელა ჭიპაშვილი, საქმის წარმოების მენეჯერი მარინა მაზმიშვილი, სააგენტოს თანამშრომელი ოთარ ჭიკაძე. „საქველმოქმედო აქციები გრძელდება“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.



საქართველოს რეგიონალური განსახორციელებელი პროექტების ფონდთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებალი პროექტების შერჩევის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში საარტო კრებები დაიწყო.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების გამოსავლენად დღეს ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის მოსახლეობას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები-დავით ფხოველიშვილი და მალხაზ მერბიშვილი მერის წარმომადგენლებთან ერთად შეხვდნენ.

პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 256 000 ლარს შეადგენს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრები ხვალ სამთაწყაროში, ფიროსმანსა და საბათლოში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის

სოფლებში საერთო კრებები დაიწყო



ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 256 000 ლარს შეადგენს.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებალი პროექტების: სასოფლო-სამეურნეო სისტემების (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათბარეო ნაგებობები, ბაზარი საშუალოები, გზები და გზისპირა მოსაცდელეები, ხილები, ცხაური, ხილ-ბოჭორები, გადსასვლელები, ბარა ბანათება, სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სოფლისადაცვლი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი, აგ-პულატორიის შენობები, სასოფლო-სამეურნეო სისტემების შენობები და კეთილმოწყობა, სოფ-ტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი, სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები შესაბამისი ინვენტარით, სარეკონსტრუქციო სივრცეები და სპორტული ნაგებობები შესაბამისი ინვენტარით, წისპირების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი, მინი ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია.

ზემო ქედი	23.02.2022	12:00 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
არხილოსკალო	23.02.2022	13:30 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
ქვემო ქედი	23.02.2022	15:00 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
სამთაწყარო	24.02.2022	12:00 სთ	სოფლის ცენტრში
ფიროსმანი	24.02.2022	13:30 სთ	სოფლის ცენტრში
საბათლო	24.02.2022	15:00 სთ	სოფლის ცენტრში
ზემო მარხაანი	9.03.2022	12:00 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
მირზაანი	9.03.2022	13:30 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
არბოშვი	9.03.2022	15:00 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
გამარჯვება	10.03.2022	12:00 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
ოზანი	10.03.2022	13:30 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
თაყნარო (ოზანის თემი)	10.03.2022	15:00 სთ	სოფლის ცენტრში
ხორნაბუჯი	11.03.2022	12:00 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან
ჭოეთი (ხორნაბუჯის თემი)	11.03.2022	13:30 სთ	სოფლის ცენტრში
სამრეკლო	11.03.2022	15:00 სთ	ადმინისტრაციულ შენობასთან

ევროკავშირის ელჩი დედოფლისწყაროში

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

ე.წ. LEADER მიდგომას ეფუძნება და მისი მიზანი დედოფლისწყაროში ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიცირება და განვითარების ხელშეწყობაა. დღემდე, LAG-მა 100-ზე მეტ ადგილობრივი განვითარების ინიციატივას დაუჭირა მხარი და ასობით სამუშაო ადგილი შექმნა. ელჩმა უშუალოდ ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებისგან მიიღო ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობებისა და სამომავლო პერსპექტივის შესახებ. შეხვედრის დასასრულს ელჩს მათ საჩუქარი - არბოშიკელი ოსტატის, ზაზა ალადაშვილის მიერ დამზადებული ხელნაკეთი ქართული საბრძოლო იარაღი - ხანჯალი გადასცეს.

ვიზიტის ფარგლებში, ელჩი ჰარცელი რამდენიმე ადგილობრივი განვითარების ინიციატივასაც ენთუზია: „ნასრავილის მელენიობამ“, ადგილობრივი განვითარების ჯგუფისგან, წარმოების გადაიარაღების მიზნით, ევროკავშირის გრანტი მიიღო, რომელიც ოჯახურ მცირე ბიზნესს ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში დაეხმარა და ახლა ღვინოს 6 ქვეყანაში ყიდის. სამომავლოდ, საოჯახო მარანი საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და ექსპორტის ზრდას გეგმავს. ელჩი სასტუმრო „ავტოგრაფს“ ენთუზია, რომელმაც ისტორიული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის დაფინანსება ევროკავშირიდან მიიღო და სტუმრების მისაღებად 14 სასტუმრო ოთახი მოაწყო. სასტუმროს განახლებამ 6 ახალი ადგილობრივი სამუშაო ადგილი შექმნა.

ვიზიტის დასასრულს, ელჩმა ხელოვნების სტუდია „ფესვები“, მოინახულა, რომელიც დედოფლისწყაროს განვითარების ჯგუფის ფარგლებში, ევროკავშირიდან დააფინანსა. „ფესვები“ უნიკალური სახელოსნოა, რომელსაც ბუნებრივი საღებავების გამოყენების დიდი გამოცდილება აქვს და უნიკალურ პროდუქტს აწარმოებს.



საკრებულოს სხდომა გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნუგზარ პაპიაშვილის ხელმძღვანელობით საკრებულოს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.
2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იჯარით გასაცემი ობიექტების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერისთვის ობიექტების სარგებლობის უფლებებით (იჯარით) გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
3. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ლევან მჭედლიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.
4. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში.



მორიგი ოქროსმედალოსანი დედოფლისწყაროდან

საქართველოს პარატაეკვანდოს ნაკრების მორიგი წარმატება

„საქართველოს პარატაეკვანდოს ნაკრებმა, ალბანეთში, ევროპის თასზე, წარმატებით იასპარეზა, სადაც 1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო,“ - ინფორმაციას საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი ავრცელებს.

ოქროს მედალი, ჩვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობმა, წარმატებულმა და საკმაოდ პერსპექტიულმა ახალგაზრდამ, არბოშიკელმა ბიორბი სიზანიშვილმა მოიპოვა (-58 კგ); დანარჩენი მედლები კი ასე გადანაწილდა:

*ბრინჯაო:

ლია ჩაჩიბაია (-47 კგ);

*სანდრო მებრეკლიშვილი (-63 კგ);

*დავით მაძაძე (+80 კგ).

ალბანეთის ევროპის თასი პარალიმპიური თამაშების სარეიტინგო ტურნირია და მასში 25 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

„ალბანეთის ქალაქ დურესში გამართულ შეჯიბრზე პირველი ადგილი მოვიპოვე.



ბიორბი სიზანიშვილი



საქართველოს პარატაეკვანდოს ნაკრები

მადლობა ყველას უამრავი კეთილი სურვილისთვის. შედეგმა არ დააყოვნა, როგორც იტყვიან „მესამე და სამართალი!“ ჩვენმა გუნდმა საკმაოდ კარგად იასპარეზა და ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვა!“ - აღნიშნავს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ბიორბი სიზანიშვილი.

„სპორტსმენებმა მაქსიმუმი გააკეთეს იმისთვის, რომ ამ შედეგით დაესრულებინათ შეჯიბრი. სიმართლე რომ ვთქვა, ასეთ შედეგს არ ველოდი. მაგრამ, მე უფრო მახარებს ის დიდი პერსპექტივა, რაც ჩვენს სპორტსმენებში ჩანს“ - აღნიშნა შოთა გოჩიაშვილმა, საქართველოს პარატაეკვანდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

პარატაეკვანდოს ნაკრები მესამე წელია, რაც კომიტეტის მხარდაჭერით საერთაშორისო ტურნირებში რეგულარულად მონაწილეობს და, ამ მცირე დროში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და ანგარიშგასაწევ გუნდად ჩამოყალიბდა.

მოამზადა
უზუნა ყანაშვილი

ფაქტები, ლეგენდები და გასაბჭოება

„ბრძოლის ქარიშხალი ამოვარდა, ბრმა ტყვია უგზო-უკვლოდ ხედებოდა, სადღაც ფანჯარა ტყდებოდა, კედლები ინგროდა, ხე იმტვრეოდა, აკაკანდა ტყვიამრფევევი, კურიშკომ განკარგულება გასცა - „კონტრშეტევაზე ბიჭებო, ურა-აა...ურაა...ურაა...“ ამ ძახილს ყუმბარებმაც მისცეს ბანი, მტერი დამარცხდა, მაგრამ თვით ნითელარმიელების მეთაურიც მოჭრილი ტოტივით ცხენიდან გადმოვარდა“. - ვაზეთი კომუნისტი, 1939 წელი, 17 თებერვალი.

ასე ხატვონად აღწერდა წლების განმავლობაში საბჭოთა პროპაგანდა დამპყრობლის, მე-11 არმიის მე-18 ცხენოსანი დივიზიის ერთ-ერთი მეთაურის, აზოვის რაიონში დაბადებული პეტრე ვასილის ძე კურიშკოს (1894 — 1921) სიკვდილს. თითქოსდა ის გამიზულად დაიღუპა ბრძოლაში - ეს ისტორია დღემდე ასეა შემორჩენილი. თუმცა, დედოფლისწყაროსა თუ სხვადასხვა წყაროებში ამ ისტორიას სხვა, რადიკალურად განსხვავებული მხარეც აქვს.



სოფა შორიდან როგორ დაიჭყოი.
ისტორიის იმედი ახა...

ჯაჭვდადებული საქართველოს ტკივილიანი ამბავი ჯერ კიდევ 1783 წლის 24 ივლისს დაიწყო... მაშინ, როდესაც ერეკლე მეორემ და ეკატერინე დიდმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობისა და პროტექტორატის ფურცელს, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ეწოდა. ტრაქტატმა ქვეყანა მუხლებზე გადასერა, თუმცა მინისკენ ნაბარბაცებული საქართველოს დამარცხება ვერა და ვერ შეძლო. 1918-1921 წლების შუალედი - ეს არის ამბავი საქართველოს პირველ რესპუბლიკაზე, რომელსაც ჰქონდა თავისი კონსტიტუცია, ეროვნულ საბჭოზე, სადაც კანონებს ქალებიც წერდნენ, ქვეყა-



ნაზე, რომელიც იმდროინდელი ევროპის რუკაზე ჩანდა როგორც პროგრესული, პროდასავლური სახელმწიფო. „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკა.“ - ნათქვამი იყო მიღებულ აქტში და ალბათ, ყველას ისიც სჯეროდა, რომ ამ სიტყვებით ბევრს, ძალიან ბევრს შეძლებდნენ. თუმცა ქვეყნად არაფერი, საერთოდ არაფერია მარადიული და არც ქვეყნის კეთილდღეობა გაგრძელებულა დიდხანს. მალევე დაიწყო დიდი პოლიტიკური თამაშები, პატარა კაცუნა პოლიტიკოსები ისევ გადიდვაცდნენ და მაკნატუნა თოჯინების ბრძოლაში ისევ ხალხი გაიჭყლიტა.

რაც შეეხება, თვითონ ჩვენს მხარეს და მთლიანად კახეთს. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ყარაღაჯ-დედოფლისწყაროს მიმართულებას დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა დაღესტან-ლეკეთისა და ტარბელაქის მხრიდან შემოსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. დედოფლისწყაროში მუდმივად მეფის რუსეთის ჯარის ნაწილები იდგა. სამხედრო სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ კი ოფიცერთა და ჯარისკაცთა უმეტესი ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად რჩებოდა. 1803 წელს რუსულმა ჯარებმა ამ ადგილას სამხედრო სადგომი დაარსეს. შუუცვალეს სახელწოდება და „ცარსკიე კოლოდცი“ უწოდეს. 1889 წელს კი მეფის მთავრობამ შირაქში რუსების გადმოსახლება გადაწყვიტა. ამან ქართველ მთიელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია და მათ, ვაჟა-ფშაველას ინიციატივით, შირაქში ჩამოსახლება და დამკვიდრება დაიწყეს.

ვაჟაჟი კი იყო 1921 წელი...

1921 წლის 17 თებერვალს ნითელი არმიის მე-18 ცხენოსანთა დივიზიამ აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა. დივიზიას იმ დროისთვის უკვე სისასტიკით სახელგანთქმული ბოლშევიკი პეტრე კურიშკო ხელმძღვანელობდა.

რას წარმოადგენდა მე-18 ცხენოსანთა დივიზია?

რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის ყველაზე დრამატულ მომენტში, 24 თებერვლის საღამოს, გენერალმა გიორგი კვიციანიჩემ ჩათვალა, რომ მონინაღმდეგის ცხენოსანი შენაერთები ქართული არმიის დაუცველ ფლანგებს გარს უვლიდნენ და დედაქალაქის დამცველ ძალებს ალყაში აქცევდნენ. საფრთხის რეალურობის განსასაზღვრად, საინტირესოა, ამ ცხენოსანი შენაერთების პირადი შემადგენლობის რაოდენობის გაგება. გვარდიის მეორე ათასეულის მეთაური აკაკი კვიციანიძე იწერდა, რომ „კუროჩინის“ დივიზია სინამდვილეში მხოლოდ ერთ ბრიგადას წარმოადგენდა და სულ 700-800 „ჯახნიკა“ ცხენებზე შემჯდარი ცხენოსნებისგან შედგებოდა. სწორედ ეს ძალა უვლიდა გარს ქართველთა თავდაცვის მარცხენა ფლანგს, ხოლო მარჯვენა ფლანგს კი 1200-მდე ცხენოსანი. კვიციანიძის ამ მონაცემებში რამდენიმე შეცდომაა: კუროჩინი სინამდვილეში იყო მე-18 ცხენოსანი დივიზიის მეთაური კურიშკო, რომელიც როგორც ცნობილია ქართველებმა 17 თებერვალს მოკლეს და მისი დივიზია თბილისთან არა ერთი, არამედ ორი ცხენოსანი ბრიგადით იყო წარმოდგენილი. ზუსტი მონაცემები



თუ რამდენი მებრძოლი ირიცხებოდა 1921 წლის თებერვალში მე-12 და მე-18 ცხენოსან დივიზიებში არ გვაქვს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება მიახლოებით განისაზღვროს ამ შენაერთთა პირადი შემადგენლობა. 1920 წლის 15 ოქტომბრისთვის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდგარ მე-12 ცხენოსან დივიზიის მებრძოლთა შემადგენლობა 2345 კაცისგან, ხოლო ზურგის ნაწილების სულ პირადი შემადგენლობა - 4338 კაცისგან შედგებოდა. მათ განკარგულებაში იყო 12 ქვემეხი და 24 ტყვიამფრევევი. მე-18 დივიზიის მებრძოლთა შემადგენლობა კი იმავე პერიოდისთვის 2446 მებრძოლის, ხოლო ზურგის ნაწილების ჩათვლით კი, 4622 კაცისგან შედგებოდა. მათ განკარგულებაში იყო 11 ქვემეხი და 57 ტყვიამფრევევი. უნდა ვივარაუდოთ, რომ არასაომარ ვითარებაში მყოფი დივიზიების პირადი შემადგენლობა, როგორც მინიმუმ, მეტი ვერ იქნებოდა 1921 წელს ომის პირობებში საქართველოში შემოსული ამ დივიზიების პირად შემადგენლობაზე. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 1921 წლის იანვარში საქართველოში შემოჭრამდე, მე-12 ცხენოსანი დივიზიის მხოლოდ ერთ ცხენოსან პოლკში 416 კავალერისტი მსახურობდა. ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ 1921 წელს საქართველოში შემოვიდა ამ ცხენოსანი დივიზიების ცხენოსანი ბრიგადების 2/3-ზე მეტი. ორივე შენაერთი 24 თებერვლის საღამომდე ქართველებთან მიმდებრძოლებში იყო ჩაბმული, ამიტომ მათ, განსხვავებით მე-12 და მე-18 ცხენოსანი დივიზიებისგან, საკმაოდ დანაკლისი ექნებოდათ, თუმცა 1568 კაციდან მინიმუმ 1000 მაინც იქნებოდა მწყობრში 25 თებერვლის დილისთვის.

რა მოხდა ლეგენდის მიხედვით გასაბჭოების მოკრე დღეს?

მეორე დღეს ნითლების არმია დედოფლისწყაროში (მაშინდელ მეფის წყაროში - царский колодец) სოფელ ქვემო ქედიდან შევიდა. კურიშკო დარწმუნებული იყო, რომ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა, ამიტომ მცირერიცხოვან რაზმთან ერთად სოფლის შუაგულისკენ თამამად დაიძრა. მას გეგმად მოსახლეობის შეკრება და საავიჯიციო მიტინგის მოწყობა ჰქონდა. ასე ზარ-ზეიმით აპირებდა კურიშკო დედოფლისწყაროში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას. სწორედ ასე, ვინრო ქუჩაზე, სოფლის შუაგულისკენ ამაყად მიმავალი, ერთ-ერთი გამორჩეული ბოლშევიკი გლენმა შენიშნა, თხი იქვე მიაგდო, მაშაპაურს თოფს ხელი სტაცა და კურიშკოს ტყვია შუბლში დაახალა. მან გაქცევა მოახერხა. ბევრი ეცადა საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ სოფელი ვერ გატეხა, ქიზიყელებმა მისი სახელი საიდუმლოდ ისე შეინახეს, რომ დღემდე მისი სახელი არავინ იცის. დღემდე ასე იციან ადგილობრივებმა, რომ კურიშკოს მკვლეელი ვერც უპოვნიათ და არც არავინ დაუსჯიათ. კრემლს ეს ისტორია არ აწყობდა, ამიტომ კურიშკოს გამორჩეული სიკვდილის ისტორია შექმნა. თუმცა, ეს ლეგენდა/ამბავი ბევრ დედოფლისწყაროელს სიმართლესთან უფრო დაახლოებული ჰგონია, რომლის მიხედვითაც უსახლოდ მოკვდა კრემლის ერთ-ერთი გამორჩეული მეთაური. ამ ამბების შემდეგ, საბჭოთა ლეგენდამ კურიშკო მეორედ, ამჯერად გამიზულად მოკლა, რომლის მიხედვითაც ის მენშევიკებთან

შეტაკების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა. სიკვდილის წინ თავისი იარაღი გადასცა კომისარ პარტიანბეკოს და უთხრა: „განაგრძე დაწყებული საქმე, დიდი საქმე მსხვერპლს მოითხოვს“. დედოფლისწყარო სასწრაფოდ ნითელწყაროდ გადააკეთეს. მისი მკვლელობის ადგილზე კი ძეგლი აღმართეს. საბჭოეთის პარტიული მუშაკები და კომისარები ყველაფერს აკეთებდნენ კურიშკოს სახელის უკვდავსაყოფად და გმირად წარმოსაჩვენად. მის ძეგლთან ფიცს იღებდნენ სამხედროები და აჯილდოვებდნენ პიონერებს. შემდეგში 1978 წელს ძეგლი ბრინჯაოთი განაახლეს. მისი ავტორები იყვნენ მოქანდაკეები: ოთარ მელიქიშვილი, ვახტანგ ფეტვიანი, ავთანდილ კიკნაველიძე, არქიტექტორი ვახტანგ ბაცაცაშვილი. თუმცა არც ძეგლის დადგმას ჩაუვლია უპასუხოდ. ერთ მშენიერ დღეს ნითელწყაროს კურიშკოს ძეგლი დაწვრილი დახვდათ. პარტიული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ძეგლი აღადგინეს და უფრო გამოსაჩენად ადგილას დადგეს. დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დედოფლისწყაროელებმა ესეც გაანადგურეს. ახლა მის ადგილზე, უწმინდესისა და უნეტარესისის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ტაძარი ააშენეს.

ისტორია მრავალგვარია: ხალხური ისტორიით ერთი უბრალო გლეხი იქცა ლეგენდად, რომელმაც დამპყრობლის სახელთან ერთად თავის სახელიც თან გაიყოლა, საბჭოთა პროპაგანდისტული ამბები კი, მას სამოქალაქო ომის გმირად მოიხსენიებს. დღეს ლეგენდად შემორჩენილ ისტორიას დედოფლისწყაროში ამაყად ჰყვებიან, რადგან ის ბევრად ახლოს დგას იმ ეროვნულ მუხტთან, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას მოჰყვა. ფაქტები კი ფაქტად რჩება: 1921 წლის 25 თებერვალს სიკვდილი ცელით შემოვიდა, დაღუპდა ხალხი და დაღუპდა ქვეყანა, რომელიც მანამდე ფეხს ახლად იდგამდა და მსოფლიოში საკუთარი ადგილის დაკავებას ცდილობდა.

მომაზადა
შუშუნა ყანჩაპვილია



ღმერთი სახლშია... (გაბრიელა)

რამდენიმე ადამიანს ვკითხე, რამდენად მიიჩნევენ შესაძლებლად ქვეყნიდან წასვლას. ყველა ეროვნული სტატისტიკის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალი შემოსავალი აქვს. მათი ემიგრაციის მოტივი პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ არის.

მ.ა.:
მე იმიტომ მინდა წასვლა, რომ აქ მოტივაცია არ მაქვს რამეს მივალწიო. დღე და ღამე ვმუშაობ და საბოლოოდ მაინც იმის მიხედვით „ფასდება“ შრომა, ვინ უფრო უკეთ მლიქვნელობს „საჭირო ხალხთან“. მაღალი კარიერული მისწრაფებები არ მაქვს, თუმცა ცალსახად უსამართლობები ძალიან მთრგუნავს. შედეგად, უკვე ყველაფერი მალიზიანებს აქ.

მ.ს.:
მე არასდროს მიფიქრია წასვლაზე. ვერაფრით წარმომიდგენია აქაურობა როგორ უნდა დავტოვო. ამას ვერც კი ვუშვებ. ჩემს მეუღლეს, მაგალითად, ძალიან უნდა წასვლა იმ გარემოს გამო, რაც ქვეყანაშია - უფუნქციობისა და წლების მუშაობის წყალში ჩაყრის გამო. ვერც კი წარმოუდგენია, რომ პატარებს არ უნდოდეთ წასვლა. მე მაინც მგონია, რომ რეალიზება ყველაზე მეტად სამშობლოშია შესაძლებელი.

კ.ი.:
მე არ ვფიქრობ, მაგრამ პატარებს ნამდვილად ვურჩევ - ნავიდნენ და ნახონ როგორია ნორმალური ქვეყანა და თუ გადაწყვეტენ, მერე დაბრუნდნენ. ემიგრაცია რთულია, რეალიზებულად და არარეალიზებულად. ვიცნობ ლეგალურად, კეთილდღეობაში მცხოვრებ ემიგრანტებს, ვისაც ყველაფრის სურვილი დაკარგული აქვს, მათი ყოველდღიური მდგომარეობა ქრონიკულ ღებრესიამიც კი გადადის ხოლმე.

ბ.ი.:
ჩემს მეუღლეს უნდა, მე - არა. ორი ბავშვით უცხო ქვეყანაში ცხოვრების თა-



ვიდან დაწყების სურვილი არ მაქვს. რაც მთავარია, ჩნდება დიდი კითხვა - ყველა რომ წავიდეს და დარჩეს, ხომ დაიძალა ეს ქვეყანა? არ მოგვწონს ბევრი რამ რაც ხდება და მხოლოდ კრიტიკით შემოვიფარგლებით. ამასობაში კი, ცარიელდება ქვეყანა და სხვების წისქვილზე ვასხამთ წყალს.

მ.ძ.:
ჩემი პრობლემა ენაა (რესპონდენტი სრულყოფილად ფლობს ინგლისურს, კარგად ფრანგულს და რუსულს), ამ ენებზე ვურთიერთობ და მგონია, რომ უცხოელი ვერასდროს გაიგებს ვინ ვარ. შესაბამისად, ბოლომდე ვერსად ვინ-

ტეგრირდები. თუმცა, დროებით გამოსავლად და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წასვლა ნამდვილად კარგია, თუ ეს დროებითობა მთელი სიცოცხლე არ გასტანს. და კიდევ, შემეცნების ენა ჩემთვის ქართულია, თვალსაწიერის გაზრდა ამ ენაზე შემიძლია.

რესპონდენტებმა ასევე დაამატეს, რომ დისტანციაზე სიახლოვის შენარჩუნება ძალიან რთულია. ბოლო ერთ კვირაში საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შედეგად, ბევრი რამ შეიცვალა, რადგან ომი უკრაინაში გარდაუვლად ნიშნავს ომის მოახლოებას

საქართველოში. ასეთია სინამდვილე, რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ის გასაცნობიერებლად. მომავალი კიდევ უფრო ბუნდოვანი და ნაცრისფერი გახდება. ნიჰილიზმმა იმატა და ის, ვინც გუშინ ყოყმანობდა ემიგრაციასთან დაკავშირებით, დღეს უფრო მკაფიო წარმოდგენა აქვს იმაზე, სად უნდა წავიდეს და რატომ.

დღეს უკვე ნათელია, რომ „ღმერთი სახლშია“, ისევე როგორც - მში.

სალომე ნატროშვილი


ომით გაჩერებული ცხოვრება...

თითქოს კილომეტრები გვაშორებს ომს, მაგრამ ის ისე ახლოს არასდროს ყოფილა, როგორც დღეს. თითქოს ომი ჩვენ არ გვეხება და ვფიქრობთ, რა ვთქვათ, რით დავიმშვიდოთ თავი. ჩვენთან დღე-დღეს ჩვეულებრივად მისდევს, იქ, საომარ მდგომარეობაში მყოფ, ლარივით მოჭიმულ ქვეყანაში კი საათებიც კი ხალხს ალბათ საუკუნეებად ეჩვენება. თითქოს დაძინება მარტივია, დადებ აფუძვლებულ ბალიშზე თავს და სიზმრების სამყაროში იმოგზაურებ, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანებს ძილი არც საქართველოში მიეკარებათ და არც უკრაინაში, იქ, სადაც თავისუფლების მოყვარე, ღირსეული, მეტრძოლი ერი გადარჩენისთვის იბრძვის. მასთან ერთად უნდა იბრძოდეს მთელი მსოფლიოც, რადგან ახლა დანარჩენი მსოფლიოს ბედიც აქ, ორ ნაბიჯზე წყდება.

საომარ ვითარებაში ძილი რთულია. ომს თავისი მღელვარება აქვს. ალბათ ისეთივე, ჩვეულებრივ დღეებში რაღაც დიდსა და კარგს რომ უსწრებს წინ. იქ, უკრაინაში, ყველაფერი ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: თითოეული მოძრაობა, ჩქამი, ქუჩიდან შემომავალი უმნიშვნელო ხმაური, ნაბიჯებისა თუ მანქანის ხმა. მუდმივი მოლოდინის რეჟიმში უკრაინელი ერი და დანარჩენი მსოფლიოც სვამდა კითხვებს: დაინებოდა თუ არა? რა მოხდება? დეჟავუ გაქვთ არა? თითქოს ეს ფილმი უკვე ნახეთ ხომ? ეს ყველაფერი საკუთარ თავზე ჩვენმა ქვეყანამაც გამოცადა, აგერ უკვე 14 წლის წინ. წარმოუდგენელია არ გესმოდეს მეგობარი ქვეყნის მდგომარეობა, როდესაც ოკუპანტი ქვეყანა მასაც იგივე სცენარით „ეხმარება“, იგივე „დახმარებას“ და „გვერდში დგომას“ სთავაზობს იმ „დამოუკიდებელ ხალხთა რესპუბლიკებს“, რომლებიც ამას „საჭიროებენ“. ამ „ლოგიკით“ და „მტკიცებულებებით“ „ვბომბავ-დით მძინარე ცხინვალს“ ჩვენც. შედეგად, მათი „დახმარება“ ყველამ ვნახეთ.

ისტორია მეორდება, მთავრობები მიდიან და მოდიან. ამ ყველაფრის ფონზე კი

მუდმივად ერთი რამ მიტრიალებს თავში: როდის მიეცემა ჩემს თაობას იმის საშუალება, რომ არ იფიქროს ომზე? არ იფიქროს ახალგაზრდებმა, რომ მათი შრომა ქვეყნის მშენებლობისთვის, მათი თავდადება განვითარებისთვის ფუჭი არაა და წყალში გადაყრილი? რა დააშავებს იმ ადამიანებმა, რომელთა სიცოცხლეც ეწირე-



ბოდა და ეწირება გაურკვეველ ამბიციებსა და პოლიტიკურ, სისხლიან თამაშებს? აი ეს თაობა მეცოდება. ვწუხვარ და განვიცდი მათ გამო, რადგან ჩემი ასაკის უკრაინელები დღეს ვერ ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გამოადგენ თავიანთ ქვეყანას საკუთარი საქმით, პროფესიით. აუცილებლად აღსანიშნია, რომ მათ გვერდით აუცილებლად დადგებიან ქალებიც. უკრაინელი ქალები, რომლებიც თამაშ ყვავილებით და უდიდესი შინაგანი ძალით უერთდებიან მათ მამებს, ძმებს, საყვარელ ადამიანებს. როგორც სიმონ დე ბოვუარმა თქვა „ქალები კი არ იბადებიან სუსტებად,

მათ ქმნიან ასეთებად“. საზოგადოება ქმნის მათ სუსტებად და მხოლოდ საოჯახო საქმეებისთვის განკუთვნილად, მაგრამ ეს საზოგადოებრივი აზრი იცვლება და დროთა განმავლობაში პროგრესირდება. უკრაინელი და არამარტო უკრაინელი ქალები კი საკუთარი ძალისხმევით შედეგად ანგრევენ გენდერულ სტერეოტიპებს და

არაიან ისეთივე კარგი მეტრძოლები, როგორც მამაკაცები. ახლა ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ დაიცვან საკუთარი ქვეყანა აგრესიისგან, იმ უმისამართო და უმიზნო ბრძოლისაგან, რასაც ჰეგემონობისა და იმპერიალისტური სურვილების დაკმაყოფილება ჰქვია.

„ო, რუსები უნდა მავნე პარაზიტებით გაუფიქრონ კაცობრიობის საკეთილდღეოდ!“
„რუსი კაცის გულს ისე არაფერი ახარებს, როგორც საჯარო აურზაური და არეულობა.“
„რუსეთი იმდენად დიდი გაუგებრობა

გახლავთ, გერმანელებისა და შრომის გარეშე ჩვენ ამ გაუგებრობას ვერც მოვერვით და ვერც თავს გავართმევთ.“

ეს სიტყვები არა რომელიმე ვეროპულ, ანდაც ამერიკელ მწერალს, არამედ ფიოდორ დოსტოვესკის ეკუთვნის, „ემ-მაცინდან“. ალბათ, დამეთანხმებით, რომ საკუთარ ქვეყანას და ხალხს ისე ვერავინ იცნობს, როგორც იმავე ქვეყნის წარმომადგენელი. მსოფლიოში აღიარებული მწერალი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უმეტესწილად სწორედ საკუთარი ქვეყნის ავ-კარგზე წერდა, ამბობდა, რომ „რუსი კაცისთვის სინდისი მხოლოდ ზედმეტი ტვირთია და მუდამ ტვირთი იყო, მთელი მისი ისტორიის მანძილზე.“

სანყენი და დასანანია, რომ მსოფლიომ 21-ე საუკუნეშიც კი ვერ გაიაზრა ომის დამანგრეველი ძალა. ომს არ ჰყავს გამარჯვებული. ამ ზოგჯერ ხანგრძლივი და არაჰუმანური პროცესის სიმძიმეს კი, სამწუხაროდ, ისევ უზრალს, უდანაშაულო თაობები და ადამიანები ეწირებიან. საერთაშორისო პარტნიორები შფოთდებიან, სოციალურ ქსელებში პოსტებიც ქვეყნდება, ყველა უდიდეს გულისტკივილს გამოხატავს, მაგრამ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს შეფოთება რეალურ ქმედებებზე ძნელად თუ იქცევა ხოლმე. ისევ დოსტოვესკის თუ დავესესხებით, „ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ მშვენიერი და ბედნიერი და არ დაკარგონ დედამიწაზე ცხოვრების უნარი. მე არ მინდა და არ შემიძლია დავიჯერო, რომ ბოროტება შეიძლება იყოს ადამიანის ნორმალური მდგომარეობა.“

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი მოცემულობით, კაცობრიობას არ შეუძლია იყოს მშვენიერი და ბედნიერი, რადგან როგორც ჩანს, ჩვენ დავკარგეთ დედამიწაზე ღირსეულად ცხოვრების უნარი და ბოროტება გახდა ჩვენი რეალური მდგომარეობა.

შუშუნა ყანჩაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილის ქიზიყური ფესვები დედოფლისწყაროს გამოჩენილი ადამიანები

რაოდენ დიდია და მნიშვნელოვანი ერის ისტორიაში იმ ადამიანთა ღვაწლი, ვინც თავდადებით, უანგაროდ ემსახურა ქართულ მეცნიერებას, კულტურას და შვიკა და მატთანში, როგორც უკვდავება. ისტორია ხომ თვით უკვდავთა საუფლოა, რომელთა ჩრდილიც წარსულიდან მომავალს ეფინება. ასეთაგან ერთ-ერთი ჩვენთვის, ქართველებისთვის დიდი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი გახლავთ. სწორედ მისი წარმომავლობის ისეთ შტრიხზე ვისაუბრებთ დღეს, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობია. ამ საკითხზე სასაუბროდ ჩვენ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი ლალი ბასილაშვილი მოვიწვიეთ.

იმისა, რომ ქართლის მეფე იყო, მაინც ხელს უწყობდა კახეთის აღორძინებას, რომელსაც ის თავის ნამდვილ მამულად თვლიდა. მან გასცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქართლელებს თავისუფლად უშვებდნენ კახეთში დასასახლებლად. ერეკლე პირველის გადაყენების შემდეგ, ქართლის მეტატონებმა დაიწყეს კახეთში შემოხიზნული ქართლელების აყრა, მაგრამ განაზრახი მთლიანად ვერ შეისრულეს. სწორედ მაშინდელია ქიზიყში არსებული ქართლული გვარების სიმრავლე.

-რატომ დასჭირდა ერეკლე პირველს ასეთი ბრძანების გაცემა, რა იყო მიზეზი?

-გადავხედოთ ჩვენს ქარტახილიან წარსულს: 1616 წლის ადრე

შაჰის ჯარებმა კახეთის სამეფო მოსპობის პირას მიიყვანეს. მისი ბრძანებით სპარსელები ყველაფერს მიწასთან ასწორებდნენ: ადგილობრივ მოსახლეობას, სოფლებს, ქალაქებს, კულტურის ძეგლებს და მეურნეობას.

საქართველოს ისტორიაში უმაგალითო დღეები დადგა, ველური ენერჯით ანგრია მტერმა სასახლეები, ციხეები, ეკლესიამონასტრები. მოსახლეობა, რომელიც განყვეტას გადაურჩა, სპარსეთ გადაასახლა (40.000 კომლი). საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე უდაბნოდ აქცია. სწორედ ამ დანაკლისის შესავსებად გაატარა ერეკლე პირველმა ეს ღონისძიება. ქართლის მეტატონეთა მცდელობა, უკან დაებრუნებინა

დიდი მწერლის ახლო წინაპრებს და მათ ტოკლიკიშვილობას, ქეთევან ჯავახიშვილს, მოგონებებთან ერთად, მოუპოვებია მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტიც - საეკლესიო წიგნის ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის მამა - საბა, დაბადებულია 1842 წლის 2 თებერვალს ზემო მაჩხაანში. მისი მშობლები ყოფილან: მამა-ადამ არსენის ძე ტოკლიკიშვილი, დედა - მელანია ივანეს ასული. საბას გარდა მათ ჰყოლიათ მეორე ვაჟიც - სანდრო. დედა ადრე გარდაცვლილა. დედის გარდაცვალების შემდეგ სრულიად ახალგაზრდა საბა გაპარულა და რამდენიმე ამხანაგთან ერთად ნასულა ბედის საძებნელად ჯერ თბილისში, შემდეგ შულავერში - ბორჩალოს (მარნეულის) ბაზარში. აქ მას მამის სახელის მიხედვით მიუღია გვარი - ადამაშვილი, მომავალი მწერალიც ამ გვარს ატარებდა და პირველი მოთხრობები ამ გვართ გამოუქვეყნებია, მაგრამ შემდეგ, კონსპირაციის მიზნით, იძულებული იყო, გვარი გამოეცვალა. მას არჩევანი თავისი წინაპრების ძველ გვარზე ჯავახიშვილზე შეუჩერებია. ცნობილია, რომ ბორჩალოს მაზრის სოფელი სიონი, მიხეილის პაპას - საბა ადამაშვილს აღუდგენია, გაუშენებია და იქ დასახლებულა მთელი ოჯახით. საბარათიანოს მხარე, მისი ბუნება და ხალხი, აწვდიდა საზრდოს მომავალი მწერლის ბავშვურ ფანტაზიას და განსაზღვრავდა მის პირველ შთაბეჭდილებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მისი ნიჭის გენეტიკური ნაპერწკლები ქიზიყის მადლიანი მინის კოცონიდან იყვნენ წარმოშობილი, რომელმაც ბევრი გამოჩენილი ადამიანი ასაზრდოვა და ჩვენამდე მოიყვანა, როგორც დედოფლისწყაროს და მთელი ქართველი ერის საამაყო მამულიშვილები.

მიხეილ ჯავახიშვილი იყო ხალხის მტრად შერაცხული, ამიტომ ოჯახთან, ნათესავებთან განყვეტილი ჰქონდა ყოველგვარი ურთიერთობა სოფელ ზემო მაჩხაანში, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ. ეჭვგარეშეა, აუცილებლად ეყოლებოდათ ნათესავები და მათი შთამომავლები. თუ ვინმეს რამე აქვს მოსაგონარი, გააჩნია რაიმე ნივთი ან ჩანაწერი, კარგი იქნება თუ გამოგვცხმაურება, რათა სრული სურათი აღვადგინოთ ამ დიდი მწერლის ქიზიყური წარმომავლობის შესახებ.

ნაირა ბორაშვილი

-ქალბატონო ლალი, რას გვეტყვით მიხეილ ჯავახიშვილის ქიზიყური წარმომავლობის შესახებ?

-მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დანერვილა, მაგრამ ეს ყველაფერი ეხება, ძირითადად, მწერლის შემოქმედებას. მისი ცხოვრება კი დღემდე მკრთალად იყო გაშუქებული და ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი. ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ მიხეილ ჯავახიშვილის წინაპრები ქიზიყიდან - დედოფლისწყაროს (მაშინდელი სიღნაღის მაზრა) მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანთან იყოფილან.

დიდი ხანი არ არის, რაც ცნობილი გახდა, რომ მწერლის არქივი გადაურჩენია და სათუთად შეუნახავს მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილს - ქეთევან ჯავახიშვილს. მის წიგნს „ეკლიანი გზა“, რომელიც გამოიცა გიორგი ნატროშვილის რედაქტორობით, ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურული ცხოვრებისთვის. წიგნი მამამისის შესახებ, რომელსაც პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს, გვამცნობს, რომ მისი წინაპრები ქიზიყიდან, სოფელ ზემო მაჩხაანთან იყოფილან, გვარად ტოკლიკიშვილები, ხოლო უფრო შორეული წინაპრები კი ქართლელი ჯავახიშვილები იყვნენ.

-როგორ მოხდნენ ქართლელი ჯავახიშვილები ზემო მაჩხაანში?

-აი, რას ამბობს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლოვარდი ტუხაშვილი ქიზიყში ქართლური გვარების შესახებ: ერეკლე პირველი, (ნაზარალი ხანი - 1642-1709 წწ) რომელიც იყო კახეთის უფლისწული, ირანის შაჰის მიერ ქართლში დასმული, მიუხედავად

აი, როგორი სულისკვეთებით ზრდიდნენ შვილებს!

1924 წელს გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის 10 წლის ქალიშვილს - ქეთევან ჯავახიშვილს ალბომში ჩაუნერა „ჩვენი დროის ათი მცნება“. მწერლის მიერ მომავალი თაობისათვის დატოვებული ეს შეგონება მარად უნდა გვახსოვდეს და ხშირად შევახსენოთ ჩვენს შვილებს.

ჩვენი დროის ათი მცნება

-შენ ხარ მარადიული, განწყურელი და ერთგული ნევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

-შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი, შენი პირადი მეგობარი.

-ყველაფერი, რა გექვს და გექნება, შენი სიწოდებელია კი. შენს მამულს-სკვთვინს. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განწყურელი შვილი.

-მიუეი მას ნოფელი გულით ყოველივე და ისიერ მოგწემს ყოველივეს.

-მანერ მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იწხოვრე. ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

-განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი უინი, კერპი გული და ურჩი სურვილიები.

-გზის გაცვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაჯობა, რუღლუტობა, სიწოდებ და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უშუალოდ დალუპავს.

-სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჭურჭრობით საკუთარ ჭკუას, უინს და გულის ზრახვას ნუ აპყვები.

-თავმოყვარეობა შეიძინე და თავის თავის ფასი იხსნაღლე. მაგრამ ნუ გადააჯარნებ. არ გაამაყდე.

-ზოლოს და ზოლოს, ყოველითვის სჯობს სამი რამ: პირველი - შრომა, მეორე - შრომა და მესამე - შრომა.

**შენი მოსიყვარულე მამა,
მიხეილ ჯავახიშვილი**



გაზაფხულზე ირანის მმართველი შაჰ-აბასი ურიცხვი ლაშქრით კახეთს მოადგა. იგი შეუდგა თავისი ბარბაროსული გეგმის (კახელების მთლიანად ამონყვეტა ან გადასახლება და იქ მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება) აღსრულებას. შაჰმა კახეთს ორი მხრიდან შემოუტია. თვით აბასმა დასავლეთიდან-ქართლის მხრიდან, ხოლო შირვანის ბეგლარბეგმა-აღმოსავლეთიდან.

მოსახლეობა, ნაკლებად წარმატებული გამოდგა. ბევრი დარჩა კახეთში, მათ შორის-ქიზიყშიც.

-მათ შორის არიან ტოკლიკიშვილებიც?

-როგორც ჩანს ტოკლიკიშვილი შედარებით ახალი წარმოქმნილი გვარია და ძველ სიგელ-გურჯეში არსად გვხვდება. არც მათი ჯავახიშვილებიდან წარმომავლობის შესახებ მოიპოვება რაიმე წერილობითი საბუთი. რაც შეეხება

დედოფლისწყაროში საშემოდგომო კულტურების ნათესები საფრთხეშია!

ემუქრება თუ არა ქერის ნათესებს გადახვანა?!

შირაქის თვალუწვდენელი ველი წელიწადის ამ დროს მწვანედ ღელავს. ახლად ამოსული ჯეჯილი გლეხის თვალსაც ახარებს და გულსაც. ასეთი სურათი ხვავიანი ხორბლისა და ქერის მოსავლის საწინდარია. სამწუხაროდ, წელს შირაქის ველზე სიმწვანეს ვერ შეხვდებით. მიწა დამსკდარია გვალვისგან, ხოლო ქერის ნათესები გაყვითლებულან და შველას ითხოვენ.

„დედოფლისწყაროში საშემოდგომო კულტურების ნათესები საფრთხეშია!“-ამის შესახებ დაუფარავად წერენ სოციალურ სივრცეში. ამის შესახებ ღიად საუბრობენ ფერმერებიც.

ფერმერი ელიზბარ იმერლიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას იმ მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელმაც საშემოდგომო კულტურებს საფრთხე შეუქმნა. **„ნამდვილად ცუდი მდგომარეობაა მინდვრებში. შემოდგომაზე იმაზე მეტი ნალექი მოვიდა, ვიდრე საჭირო იყო. უხვმა ნალექმა და უამინდობამ აგროვადები გადასწია, ანუ, შედარებით გვიან დაითესა ხორბალი და ქერი. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ზამთარს ეს ნათესები პატარა და სუსტი შეხვდა. ამას დაემატა გვალვა. თითქმის 4 თვეა, ნალექი არ მოსულა. ჯეჯილის ფესვური სისტემა ჯერ ისე ვერაა განვითარებული,**



მერები ვარაუდობენ, რომ მის ნაცვლად საგაზაფხულო კულტურას დათესავენ.

კლიმატურმა ცვლილებამ, რომელიც ადამიანებს მითი ანდა შორეული პერსპექტივა ეგონათ, უკვე ჰპოვა ასახვა ჩვენს ყოველდღიურობაში. გვალვა და გახშირებული ქარები მოსავალს საფრთხეს უქმნის. ამ დროს კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ქარსაფარი ზოლების გარეშეა დარჩენილი.

ინგა შიოლაშვილი



რომ მიწაში დარჩენილ ტენს მისწვდეს. ხორბლის თესლის ნაწილი მიწაზე ზევიდან მშრალად ყრია. თუ წვიმა არ მოვიდა, სერიოზული ზიანი მიადგება მოსავალს“.

იდენტური ვითარებაა ალაზნისპირა მინდვრებშიც. იქაც გვალვის გამო მოსახლეობას საშემოდგომო კულტურების გარეშე დარჩენა ემუქრება.

სხვა დედოფლისწყაროელი მიწათმოქმედებიც ამბობენ, რომ წელს გვალვიანმა ზამთარმა ყველა მათგანი დააზარალა. იმის გამო, რომ არც თოვლი მოვიდა და არც ყინვა იყო, მინდორში მღრღნელიც მომრავლდა. შირაქის ველი სავსეა თაგვის სოროებით. ფერმერები ამბობენ, რომ რამდენჯერმე შეიტანეს თაგვის წამალი, მაგრამ მათი რაოდენობა კვლავ საგრძნობია. ნალექის დეფიციტთან ერთად ხორბალს მღრღნელიც ანადგურებს.

ფერმერები აცხადებენ, რომ ახლა განსაკუთრებით უჭირს ქერის ნათესებს. ჩვენი ინფორმაციით, წელს დედოფლისწყაროში ხორბალი, დაახლოებით, 25 000 ჰექტარზეა დათესილი, ხოლო ქერი - 6 000 ჰექტარზე. როგორც აგრარული სფეროს ექსპერტები გაზეთ „შირაქთან“ ამბობენ, 3 000 ჰექტარამდე ქერის ნათესებს ხელახლა გადახვანა ემუქრება. ფერ-



ამინდი				დედოფლისწყარო											
ორშაბათი 28.02 ღამი	სამშაბათი 01.03 ღამი	ოთხშაბათი 02.03 ღამი	ხუთშაბათი 03.03 ღამი	პარასკევი 04.03 ღამი	შაბათი 05.03 ღამი	კვირა 06.03 ღამი	კვირა 06.03 ღამი	კვირა 06.03 ღამი	კვირა 06.03 ღამი						
12°	3°	13°	3°	14°	3°	12°	2°	12°	1°	12°	1°	10°	1°		
გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.				სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ყურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ზოსტაშვილი (ბულალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქინძაძე (საქმის მწარმოებელი). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სოლო პრესის“ სტამბაში.				რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)				რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.			